ანალიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი

Analitical Interational Democratic Institute

TEL: 577-18-28-37 mail: z.kukhianidze@gmail.com

N--6--

20 07 2016

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

უწყებათაშორის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

გაცნობებთ, რომ ააიპ - „ანალიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის N272/2016 განკარგულების შესაბამისად, ახორციელებს დაკვირვებას 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ყველა დონის საარჩევნო კომისიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე (http://www.moh.gov.ge/) 2016 წლის 9 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „სამი დღის განმავლობაში, მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გასინჯვები და ოპერაციები ჩაუტარდა. სამედიცინო აქცია მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტის ინიციატივითა და ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და კოორდინაციის რეჟიმის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

სამი დღის განმავლობაში, ადგილობრივებს სამედიცინო მომსახურებას რესპუბლიკური საავადმყოფოს წამყვანი ექიმ-სპეციალისტები უწევდნენ. მრავალპროფილური სამედიცინო აქციის ფარგლებში, ოფთალმოლოგს კონსულტაციისთვის მიმართა 125-მაპაციენტმა. ჩატარდა კატარაქტის 12 და რქოვანადან უცხო სხეულის ამოღების 2 ოპერაცია. გინეკოლოგის კონსულტაციითა და კოლპოსკოპიით ისარგებლა 33-მა ადამიანმა. კარდიოლოგს კონსულტაციისთვის მიმართა 120-მა პაციენტმა. ამდენივეს ჩაუტარდა ექოკარდიოსკოპია. გასტროენტეროლოგის კონსულტაცია გაეწია 31 პირს, ენდოკრინოლოგის - 57-ს, ნევროლოგის - 45 ს, თერაპევტის - 41-ს, ოტორინოლარინგოლოგის -114-ს, ყბა-სახის ქირურგის - 12-ს, უროლოგის კი 26 ადამიანს.

აქციის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასხვა სახის ინსტრუმენტული კვლევა, მათ შორის - 48 რენტგენოგრაფია, 90 ექოსკოპია, 16 გასტროსკოპია და 2 კოლონოსკოპია. სამედიცინო აქციის ფარგლებში, პაციენტებს ოპერაციებიც გაუკეთდათ. სამი დღის განმავლობაში, ჩატარდა ლაპარასკოპიული ქოლეცისტექტომიის 2, თიაქარკვეთის 2 და ცისტოლითოტომიის 1 ოპერაცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველო
"20" 07 2016 წ.
№ 01/12079

მრავალპროფილური სამედიცინო აქციის ფარგლებში, პაციენტებს მედიკამენტები დაურიგდათ. დანიშნულების შესაბამისი 20 დასახელების, 18735.40 ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქტი "ჰუმანითი ჯორჯიამ" მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უსასყიდლოდ გადასცა".

იმავე ვრბ-გვერდზე 2016 წლის 10 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში, მოსახლეობის უფასო სამედიცინო გასინჯვების აქცია გაიმართა. ადგილობრივებს სამედიცინო მომსახურება „ჰოსპიტალსერვისის" ექიმებმა გაუწიეს უფასო სამედიცინო გასინჯვების აქციის ფარგლებში, ადგილობრივებს კონსულტაცია გაუწია კლინიკის სხვადასხვა პროფილის ექიმმა. პაციენტებს ჩაუტარდათ ექოსკოპიური და კარდიოლოგიური გამოკვლევები და დანიშნულების მიღების შემდეგ "ჰუმანითი ჯორჯიას" მიერ გამოყოფილი მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ.

ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სამედიცინო გასინჯვების აქცია პერმანენტულად იმართება და მთელ ქვეყანას მოიცავს".

იმავე ვრბ-გვერდზე 2016 წლის 12 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში მორიგი სამედიცინო აქცია გაიმართა. უფასო პროფილაქტიკური კონსულტაცია, ადგილობრივებს „იმედის კლინიკის" ექიმება გაუწიეს. აქციის მიმდინარეობას ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ თალაკვაძე დაესწრო. უფასო სამედიცინო გასინჯვების აქციის ფარგლებში, ადგილობრივებს კონსულტაცია გაუწია კლინიკის სხვადასხვა პროფილის ექიმმა. პაციენტებს ჩაუტარდათ ექოსკოპიური და კარდიოლოგიური გამოკვლევები და დანიშნულების მიღების შემდეგ "ჰუმანითი ჯორჯიას" მიერ გამოყოფილი მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ. ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სამედიცინო გასინჯვების აქცია პერმანენტულად იმართება და მთელ ქვეყანას მოიცავს".

მთავრობის 2005 წლის 31დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მე-18 მუხლის თანახმად, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციაა:

ა) საგანგებო სიტუაციების დროს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის და ჯანდაცვის სფეროში შესაბამისი ძალებისა და საშუალებების მობილიზება სამოქალაქო თავდაცვისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ღონისძიებათა განხორციელებისათვის. მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის მიზნით და სამოქალაქო თავდაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის, სამედიცინო ფორმირებათა შექმნის კოორდინაცია;

ბ) სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შედგენა-განხორციელება როგორც საომარი მდგომარეობის, ისე ტექნოგენური, ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფების, ეპიდემიების დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას დაზარალებული მოსახლეობის დროული და ადეკვატური სამედიცინო უზრუნველყოფისათვის; საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სწავლების დაგეგმვა-ორგანიზება, სხვადასხვა სახის კატასტროფის დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფისათვის საჭირო სამედიცინო

რეზერვის დაგეგმვა და გაცემის ორგანიზება, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო დაწესებულებების მოქმედებათა კოორდინაცია;

გ) სხვადასხვა სახის კატასტროფისა და საომარი მდგომარეობის დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისა და ყოველდღიურ რეჟიმში სათანადო სამედიცინო დაწესებულებებს შორის გადაუდებელი მდგომარეობებისას დროული სამედიცინო ტრანსპორტირების კოორდინაცია;

დ) საგანგებო სიტუაციების დროს სამინისტროსათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემული ჰუმანიტარული ტვირთის მიღებისა და განაწილების კოორდინაცია;

ე) „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებით გათვალისწინებული სარეჟიმო-საიდუმლო ორგანოსათვის დაკისრებული ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია;

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მესტიისა და სოფ.პერევის მოსახლეობისათვის (ამომრჩევლისათვის) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული აქცია არ გამომდინარეობს ამ დეპარტამენტის ამოცანებიდან და კომპეტენციიდან, ვინაიდან სახეზე არ არის არც საგანგებო სიტუაცია, არც სხვადასხვა სახის კატასტროფა და საომარი მდგომარეობა. რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციას მესტიისა და სოფელ პერევის ამომრჩევლებისათვის უფასო სამედიცინო მომსახურებისა და უფასო მედიკამენტების დარიგების აქცია ნამდვილად არ არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, ვინაიდან სამინისტროს მიერ შემუშავებულ არცერთ წლიურ გეგმაში და შემდგომ წარმოდგენილ ანგარიშებში ასეთი პოლიტიკის შესახებ არაფერია წარმოდგენილი.

რაც შეეხება „ჰუმანითი ჯორჯიას" მიერ ამომრჩევლისათვის მედიკამენტების უფასოდ დარიგებას, ამ ორგანიზაციის ვებგვერდზე 2015 წლის 25 დეკემბერს განთავსდა ინფორმაცია, რომლის თანახმად აღნიშნული კონსორციუმი ,,საპარტნიორო ფონდის" პარტნიორია, ხოლო საპარტნიორო ფონდი წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციას, რაც ამომრჩევლისთვის მედიკამენტების უფასოდ დარიგების კუთხით ბევრ კითხვას ბადებს. აღნიშნული ინფორმაციით ირკვევა, რომ „თბილისში, ორხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალტექნოლოგიური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული ქარხანა აშენდება. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ საპარტნიორო ფონდი და კომპანია ჰუმანითი – ჯორჯია.

საპარტნიორო ფონდსა და ჰუმანითი ჯორჯიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვლისწინებს ჯამურად 130 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას.

ჰუმანითი ჯორჯიას დირექტორის ანდრეი კუზმას თქმით, ეს მოვლენა რამდენიმე თვალსაზრისით არის განსაკუთრებულად საინტერესო და აღსანიშნი. "საპარტნიორო ფონდის და ჰუმანითი ჯორჯიას ერთობლივი ფარმაცევტული პროექტი ჩაფიქრებულია, როგორც ამიერკავკასიის მასშტაბით საუკეთესო ფარმაცევტული ქარხანა, რომელიც EU GMP სტანდარტის შესაბამისად იქნება აღჭურვილი და მოწყობილი.

ქარხანაში დამზადდება სულ ცოტა 600 დასახელების წამალი, როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე საექსპორტოდ.

ძალიან მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ პროექტი ითვალისწინებს EU GMP ქარხანასთან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სერთიფიცირებული ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის შექმნას, რომელიც ადგილზე მოახდენს სერიულ კონტროლს. ასევე გათვალისწინებულია EU GDP სტანდარტის ფარმაცევტული სასაწყობო მეურნეობის მოწყობა. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, გარანტიაა იმისა, რომ ჩვენთან წარმოებული პრეპარატები იქნება უსაფრთხო და ხარისხიანი.

ჩვენი კომპანიია ახალგაზრდაა, მაგრამ ჩვენი უპირატესობაა, რომ კომპანიის მენეჯმენტი დაკომპლექტებულია მსოფლიო გამოცდილების მქონე საუკეთესო სპეციალისტებით. კომპანიის თანამშრომელთა დიდ ნაწილს აქვს მსოფლიო ბრენდებში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. ჰუმანითი ჯორჯია, ეს არის დინამიურად განვითარებადი კომპანია, რომელიც ამბიციური გეგმებით შემოდის საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. ჩვენი კომპანიის სტრატეგიაა წარმოების სრული ციკლის აწყობა და ქართულ ფარმაცევტულ ბიზნესში დამკვიდრება, როგორც ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ხარისხიანი პრეპარატების მიმწოდებელი კომპანია". – აცხადებს ანდრეი კუზმა.

ქარხნის მშენებლობის პროცესში დასაქმდება 160 ადამინი, ხოლო ქარხნის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, დასაქმებული პერსონალის რაოდენობა 440 ადამიანს გადააჭარბებს.

არსებული ინფორმაციით, ჰუმანითი ჯორჯია უკვე აწარმოებს მედიკამენტების იმპორტს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე და მისი პრეპარატების ხარისხი დადასტურებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სერთიფიკატის მქონე ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სერიული კონტროლით. ჰუმანითი ჯორჯიას პრეპარატების ქართულ ბაზარზე რეალიზაცია შეღავათიან ფასებში იგეგმება.

ჰუმანითი ჯორჯიას მიერ წარმოების სრული ციკლის აწყობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხარისხის კონტროლზე ორიენტირება და უსაფრთხო და ხელმისაწვდომი მედიკამენტების იმპორტი, არის გარანტია იმისა, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტები გაიაფდება საშუალოდ 30 %–ით და მეტით, – აცხადებენ ჰუმანითი – ჯორჯიაში.

თავად „საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზე 2015 წლის 24 დეკემბერს საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა.

„საქართველოს მთავრობის დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით საპარტნიორო ფონდი ავსტრიული კომპანია Humanity Holding GmbH-თან ერთად ახალ პროექტს იწყებს. პროექტის მიზანია

თბილისში ორხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალტექნოლოგიური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული ქარხნის აშენება.

პროექტის განხორციელებისა და ოპერირების მიზნით Humanity Holding Gmb H-მა სს „ჰუმანითი ჯორჯია" (Humanity Georgia) დააფუძნა. ახალი პროექტის დაწყებაზე პარტნიორთა შეთანხმება საპარტნიორო ფონდს, Humanity Holding GmbH-სა და საპროექტო კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას" (Humanity Georgia) შორის გაფორმდა. ევროპული სტანდარტების წამლების მწარმოებელი ფარმაცევტული ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, ხარისხის შემოწმების თანამედროვე ლაბორატორიით, სასაწყობო ფართებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ქარხანაში დამზადდება სულ ცოტა 800 დასახელების წამალი, როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე ექსპორტისთვის. ასევე კომპანიის მიერ იმპორტირებული იქნება წამლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა საქართველოში რეალიზაცია შეღავათიან ფასებში იგეგმება. ქარხანაში დასაქმდება 300 ადამიანი, რომელთა შორის იქნებიან ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები. პროექტის ჯამური ღირებულება 130 მლნ. აშშ დოლარია".

„საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზე 2016 წლის 16 თებერვალს გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით: „ დავით საგანელიძე: მთავრობის მიზანი მიღწეულია, სამედიცინო პრეპარატები იაფდება" დავით საგანელიძე, როგორც მოგეხსენებათ არის პარტია „ქართული ოცნების" უმრავლესობის ყოფილი წევრი და საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც დაინიშნა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორად, ხოლო „ჰუმანითი ჯორჯიაში" აერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს რის დავით საგანელიძის ძმის შვილი გიორგი საგანელიძე. ზემოაღნიშნული ინფორმაცია არის შემდეგი სახის:

„ფარმაცევტულმა კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიამ" წამყვან ფარმაცევტულ ქსელებთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი დაასრულა. უახლოეს დღეებში მომხმარებლს ყველა მსხვილ სააფთიაქო ქსელში კარდიოლოგიური ჯგუფის მედიკამენტების მინიმუმ 30 %–ით დაბალ ფასად შეძენა შეეძლება. უახლოეს მომავალში კი სააფთიაქო ქსელები სხვაჯგუფის მედიკამეტებითაც მომარაგდება. ეს ქსელებია: აევრსი, იმპექს-ფარმა, PSP, სახალხო აფთიაქი, ფარმადეპო, ფარმ სახლი და GPC. „ჰუმანითი ჯორჯია"-სა და საპარტნიორო ფონდის ერთობლივი პრესკონფერენცია სასტუმრო რედისონში შედგა, რომელსაც ფარმაცევტული კომპანიების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. „ჰუმანითი ჯორჯია" ფარმაცევტული ქარხნის პროექტს საქართველოს საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით ახორციელებს. საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის დავით საგანელიძის განცხადებით, ხელმისაწვდომი პრეპარატების რეალიზაციის პროექტი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე „ჰუმანითი ჯორჯიასა" და საპარტნიორო ფონდის მიერ ერთობლივად ხორციელდება. პრეპარატების იმპორტი შემდგომ ეტაპზე პრეპარატების ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლდება. აღნიშნულ პროექტში საპარტნიორო ფონდის ჩართვის მიზანია ადგილობრივი ფარმაცევტული საწარმოს ამოქმედებამდე უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი მედიკამენტების მიწოდება სულ მცირე 30 %-ით დაბალი ფასებით, რაც მნიშვნელოვანად შეამცირებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ მედიკამენტების ხარჯებსაც. აღნიშნული მიზნით საპარტნიორო ფონდმა მთავრობის თანხმობით „ჰუმანითი ჯორჯიას" მიზნობრივი სესხი გამოუყო. ასევე, სწორედ მთავრობის გადაწყვეტილებით შედის ქარხნის მშენებლობის კაპიტალში საპარტნიორო

ფონდი. „ხელისუფლების მიზანი მიღწეულია, სამედიცინო პრეპარატები იაფდება. ეს იყო წინასაარჩევნო დაპირებაც. რაც შეეხება „ჰუმანითი ჯორჯიას" მიერ შემოტანილი მედიკამენტების ხარისხს ჯანდაცვის სამინისტრო აკონტროლებს და საქართველოს სააფთიაქო დახლებზე სერთიფიკატისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ვერცერთი მედიკამენტი ვერ მოხვდება. მე ვამაყობ, რომ „ჰუმანითი ჯორჯია" ალექსანდრე მაშკევიჩის სახელს უკავშირდება. ის გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბიზნესმენი, რომელიც საქართველოს ფარმაცევტული ბაზრით დაინტერესდა და მსხვილი ინვესტიციის განხორციელებასაც გეგმავს, რადგან მიაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში არის დაცული ბიზნესი, მიმზიდველი საგადასახადო რეჟიმი და საინვესტიციო პირობები. აღნიშნული აქტივები ხელს შეუწყობს ბაზრის დივერსიფიცირებას. ჩვენი მიზანია ბაზარზე ისეთი პირობების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მოთამაშეების შემოსვლას და ფარმაცევტული ბაზრის გაჯერებას, რაც აისახება წამლის ფასებზე და გააიაფებს ჯანდაცვის მომსახურებას. რა თქმა უნდა ეს არ მოხდება წამლის ხარისხის შემცირების ხარჯზე. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ ამ სფეროში დამატებით დაინტერესებული პირები მოვიწვიოთ", განაცხადა დავით საგანელიძემ. ფარმაცევტული ინდუსტრიის წარმომადგენლები ქართულ ბაზარზე ახალი ფარმაცევტული კომპანიის „ჰუმანითი ჯორჯიას" შემოსვლას მიესალმებიან. მათი განცხადებით, კონკურენცია პროგრესის მამოძრავებელი ძალაა და ბაზარზე ახალი კომპანიის გამოჩენა დარგის განვითარებასა და წამლების გაიაფებას შეუწყობს ხელს. მათი თქმით, თუკი ფარმაცევტული კომპანიების დახლებზე არსებულ მედიკამენტებს საფასო პოლიტიკით „ჰუმანითი ჯორჯია"-ს მიერ შემოტანილი პრეპარატები დიდ კონკურენციას გაუწევს, ფასების კორექტირება სხვა მომწოდებლებსაც მოუწევთ. რაც შეეხება „ჰუმანითი ჯორჯიას" მიერ შემოტანილი პრეპარატების ხარისხს, ფარმაცევტული კომანიების ხელმძღვანელების თქმით, ისინი ჯანდაცვის სამინისტროს ენდობიან, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული წამლის ხარისხზე აგებს პასუხს.

„ჰუმანითი ჯორჯია"სა და საქართველოს მთავრობის ურთიერთობაზე 2016 წლის 12 თებერვალს საინტერესო კვლევა გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" და კვლევაში „ჰუმანითი ჯორჯია"-სა და საქართველოს მთავრობის შესაძლო კორუფციულ გარიგებაზე არის აქცენტები გაკეთებული.

„„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"

12 თებერვალი 2016

წინა კვირას ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ პაციენტებისთვის „ჰუმანითი ჯორჯიას" მაღალხარისხიანი მედიკამენტები შეღავათიან ფასებში უკვე ხელმისაწვდომია. მისი განმარტებით, სამინისტროს მიზანი რომელიმე კომპანიის ლობირება კი არ არის, არამედ ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც ხარისხს და კონკურენციას უზრუნველყოფს. „ჰუმანითი ჯორჯია" შეიძლება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშიც ჩაერთოს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. მინისტრი ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ იგივე პირობებით სხვა კომპანიებიც გამოჩნდებიან, რადგან ეს ბაზარზე კონკურენიას გაზრდის, თუმცა ამ ეტაპზე „ჰუმანითი ჯორჯია" ერთადერთია. ამ კომპანიას „საპარტნიორ ფონდი" დაახლოებით 30 მლნ აშშ დოლარით აფინანსებს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის ერთგვარი ექსკლუზიური ურთიერთობა მცირე გამოცდილებისა და ისტორიის მქონე ამ კომპანიასთან ბევრ კითხვას აჩენს, ასევე, ვფიქრობთ, რომ ამ პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს კონკურენცია ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე.

„ჰუმანითი ჯორჯია" სააქციო საზოგადოებაა, რომელიც 2015 წლის 29 აპრილს დარეგისტრირდა. მისი ხელმძღვანელი ანდრეი კუზმაა. როგორც კომპანიის ვებგვერდიდან ვკითხულობთ, „ჰუმანითი არის ფარმაცევტული კონცერნი, რომელიც სპეციალიზდება მედიკამენტების შექმნა-განვითარებასა და წარმოებაზე. ჰუმანითის პროდუქციის პორთფოლიოში შედის 700-ზე მეტი ფართო სპექტრის სხვადასხვა დოზისა და მიღების წესის მქონე მედიკამენტი. განვითარების სხვადასხვა ეტაპს გადის ასევე ჰუმანითის 156 ახალი პროდუქცია (ჰუმანითის კვლევისა და განვითარების ცენტრი)." კომპანიის სტრატეგია ქართულ ბაზარზე იაფი წამლების იმპორტია, ფარმაცევტული ქარხნის მშენებლობა - წარმოება და შემდეგ პრეპარატების ექსპორტზე გატანა, თუმცა ამ ეტაპზე კომპანია მხოლოდ საავადმყოფოებთან ურთიერთობით შემოიფარგლება. კომპანიის ხელმძღვანელის განმარტებით, კომპანია ანალოგიური სქემით მუშაობს სხვა ქვეყნებშიც. თუმცა ეს პროექტი დასრულებული სახით მხოლოდ საქართველოშია და სხვა ქვეყნებში ის მხოლოდ დამუშავების ეტაპზეა.

„საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ 2015 წლის 24 დეკემბერს „საქართველოს მთავრობის დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით საპარტნიორო ფონდი ავსტრიული კომპანია Humanity Holding GmbH-თან ერთად ახალ პროექტს იწყებს. პროექტის მიზანია თბილისში ორხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალტექნოლოგიური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული ქარხნის აშენება. პროექტის განხორციელებისა და ოპერირების მიზნით Humanity Holding GmbH-მა სს „ჰუმანითი ჯორჯია" (Humanity Georgia) დააფუძნა. ახალი პროექტის დაწყებაზე პარტნიორთა შეთანხმება საპარტნიორო ფონდს, Humanity Holding GmbH-სა და საპროექტო კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას" (Humanity Georgia) შორის გააფორმდა. ევროპული სტანდარტების წამლების მწარმოებელი ფარმაცევტული ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, ხარისხის შემოწმების თანამედროვე ლაბორატორიით, სასაწყობო ფართებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ქარხანაში დამზადდება სულ ცოტა 800 დასახელების წამალი, როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე ექსპორტისთვის. ასევე კომპანიის მიერ იმპორტირებული იქნება წამლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა საქართველოში რეალიზაცია შეღავათიან ფასებში იგეგმება. ქარხანაში დასაქმდება 300 ადამიანი, რომელთა შორის იქნებიან ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები. პროექტის ჯამური ღირებულება 130 მლნ. აშშ დოლარია."

როგორც აღინიშნა, სს „ჰუმანითი ჯორჯია" Humanity Holding GmbG-ის შემადგენლობაში შედის, ეს უკანასკნელი კი ავსტრიული კომპანიაა. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია Humanity Holding GmbH-ს ისტორია და დავადგინეთ, რომ ამ კომპანიის მმართველი დირექტორი არის ნორბერტ კუდერი. კომპანია დარეგისტრირებულია ვენაში 2015 წლის 9 მარტს, დაახლოებით ორი თვით ადრე სანამ „ჰუმანითი ჯორჯია" საქართველოში დარეგისტრირდებოდა. აქედან ნათელია, რომ Humanity Holding GmbH-ი ახალი კომპანიაა და მას აღნიშნულ სფეროში გამოცდილება საერთოდ არ გააჩნია. ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი კიდევ ერთი ავსტრიული კომპანია ProjectH Holding GmbH-ია, რომლის მმართველი დირექტორიც იგივე ნორბერტ კუდერია. ავსტრიულ სამეწარმეო რეესტრში ეს

ადამიანი კიდევ ხუთი კომპანიის მმართველ დირექტორად ფიგურირებს, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა კუდერს მხოლოდ კომპანიების საკუთარ სახელზე დარეგისტირირება ევალება, მათი რეალური მენეჯერები კი სხვები არიან.
სს „საპარტნიორო ფონდიდან" მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ფონდში, „ჰუმანითი ჯორჯიას" პროექტის პირველადი განხილვა დაწყებულია 2015 წლის 8 აპრილს, პარტნიორთა შეთანხმება დამტკიცებულია ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2015 წლის 20 ნოემბერს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები პროექტის ფინანსურ დეტალებზე და მისი განხორციელების გეგმაზე. საწარმოს მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღია - 2016 წლის აპრილი-მაისი, პროექტის განხორციელების ხანგრძლიეობა კი - 24 თვეა. „საპარტნიორო ფონდი" საკუთარი მანდატის შესაბამისად მონაწილეობას იღებს პროექტის კაპიტალის ფორმირებაში არა უმეტეს 49.9%-ის წილით (ბიზნესგეგმის თანახმად დაახლოებით 30 მლნ აშშ დოლარი), თუმცა ფონდის მონაწილეობის ოდენობა საბოლოოდ დაზუსტდება პროექტის ფინანსურ დეტალებზე და მისი განხორციელების გეგმაზე მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პარტნიორი კომპანია პასუხისმგებელი იქნება პროექტისათვის საჭირო სხვა დაფინანსების (სესხი და კაპიტალშენატანი) მოზიდვაზე, აგრეთვე პროექტის წარმატებით განხორციელებაზე და დამატებით იღებს ვალდებულებას ფონდის მოთხოვნის შემთხვევაში შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ გამოისყიდოს ფონდის წილი წინასწარ შეთანხმებულ ფასად, რომელიც აღემატება ფონდის პირველადი ინვესტიციის ღირებულებას.
ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ავსტრიული კომპანია Humanity Holding GmbH ახალი შექმნილია და ის ამ ეტაპზე მხოლოდ საქართველოში მოღვაწეობს. ასევე ნათელია, რომ კომპანიამ მოლაპარაკებები ჯერ მთავრობასთან დაიწყო და რაც მათგან მხარდაჭერა მიიღო მას შემდეგ მოხდა მისი საქართველოში დარეგისტრირება.
კითხვებს ბადებს ის ფაქტი, თუ რატომ თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტრო „ჰუმანითი ჯორჯიასთან", როცა ეს კომპანია არის ახალი, გამოცდილების არმქონე. მაშინ როცა საქართველოში არის ბევრი სხვა ფარმაცევტული კომპანია მრავალწლიანი გამოცდილებით. მაგალითად, ერთ-ერთ ტელეინტერვიუში „ჰსპ"-ეს დამფუძნებელმა კახა ოქრიაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობას საყოველთაო ჯანდაცვის მეოთხე ტალღაში მათ მიერ წამლით მომარაგებასთან დაკავშირებით არც კი მიუმართავთ, რომ მიემართათ ანალოგიური მედიკამენტების მიწოდებას იგივე პირობებით ისინიც მოახდენდნენ.
ასევე, გვინდა გამოვეხმაუროთ მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „ჰუმანითი ჯორჯიას" მენეჯმენტში გიორგი საგანელიძე („საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძის ძმისშვილი) მაღალ პოზიციას იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანს, შესაძლოა, მართლაც მაღალი კვალიფიკაცია გააჩნია და გასაკვირი არ უნდა იყოს მისი წარმატებული კარიერა, აღნიშნული ნათესაური კავშირი მნიშვნელოვან ეჭვებს აჩენს ამ პროცესში შესაძლო კორუფციული გარიგების არსებობაზე.
ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას „ჰუმანითი ჯორჯიას" მიერ იმპორტირებული და წარმოებული მედიკამენტების ფასები და შესაბამისად ხარისხიც. როგორ ახდენს ან გეგმავს ის კონკურენტებზე დაბალ ფასად მედიკამენტების იმპორტს, წარმოებას და ასევე მათი ხარისხის შესაბამის დონეზე შენარჩუნებას.
როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საპარტნიორო ფონდის" ვებგვერდზე პირდაპირ წერია, რომ ფონდის თანამშრომლობა Humanity Holding GmbH-თან საქართველოს მთავრობის დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქტიური

მონაწილეობით მოხდა, რაც პირდაპირ იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობა, ან მისი ზოგიერთი წევრი ამ კომპანიას ლობირებს.
საინტერესოა, რომ ეს პროცესი გავს კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არსებითი კორექტირების და მთლიანად ერთიანული ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის 2015 წლის 7 აპრილს 300,000 აშშ დოლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაუფორმა გამოუცდელ ბრიტანულ კომპანია „გლობალ ალიანსს" (Global Alliance for Health and Social Compact Ltd). ამასთანავე, რამდენიმე დღით ადრე, 2015 წლის 18 მარტს, „გლობალ ალიანსისგან" 300,000 აშშ დოლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება „საპარტნიორო ფონდმაც" გააფორმა. ჩვენ მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელი იყო გვეთქვა, რომ ამ კომპანიას ჰქონდა საკმარისი გამოცდილება და ექსპერტიზა იმისთვის, რომ მას სათანადოდ დაეგეგმა და განეხორციელებინა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმა.
ზემოთ აღწერილი გარემოებები გვაფიქრებინებს, რომ მთავრობა ან მისი კონკრეტული წევრები, გაურკვეველი ინტერესებიდან გამომდინარე უპირატეს მდგომარეობაში აყენებენ გარკვეულ კომპანიებს, სხვა კომპანიების უგულებელყოფის ხარჯზე. ვფიქრობთ აუცილებელია ამ კითხვებზე ამომწურავი განმარტებების მიღება. უდავოა, რომ ეს გარემოებები ინვესტორებში უნდობლობას იწვევს და აზიანებს ბიზნეს გარემოს, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ცალსახად უარყოფითად აისახება.
მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას:

1. განმარტოს თუ რატომ ენდო იმ კომპანიას, რომელსაც გამოცდილება ფაქტობრივად არ გააჩნია და საინტერესოა, რა სარწმუნო ინფორმაციას ფლობს ამ კომპანიის კომპეტენციაზე;
2. მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას, თუ რეალურად ვინ დგას Humanity Holding GmbH-ის უკან, რათა შემცირდეს კორუფციის რისკები".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მხრიდან მიგვაჩნია, რომ ადგილი აქვს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" **47-ე მუხლის,,ამომრჩევლის მოსყიდვა" დარღვევას.**

47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა);

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით

მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტი გამოქვეყნდა 2016 წლის 8 ივნისს, რაც გულისხმობს იმას, რომ საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინძეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აკრძალულია. საქართველოს მთავრობამ კი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და კოორდინაციის რეჟიმის დეპარტამენტისა და მთავრობის პარტნიორი ორგანიზაციის "ჰუმანითი ჯორჯია"-ს მეშვეობით უფასო სამედიცინო მომსახურება და უფასო მედიკამენტების დარიგება განახორციელა ამომრჩევლისთვის. რითაც ცალსახად მოხდა ამომრჩევლის მოსყიდვა. ასევე როგორც ცნობილია პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება“ თავმჯდომარეა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური - პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რაც ცალსახად აკავშირებს ქართულ ოცნებას ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტთან, ხოლო საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამ მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გაწვდით აღნიშნულ ინფორმაციას და გთხოვთ, მიიღოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები, მით უმეტეს იმ პირობებში, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აანონსებს მომავალშიც მსგავსი აქციების პერმანენტულად ჩატარებას.

პატივისცემით,

ეკა ჩაჩანიძე

ორგანიზაციის

აღმასრულებელი დირექტორი

საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი
INTERNATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
AIDI
205290950

20.07.2016